შპს მაღარო კაპიტალი (ს/ნ 402174295)

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

N0710-01

07.10.2022 წ.

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბისხევის მიმდებარე ტერიტორიებზე შპს „მაღარო კაპიტალს" დაგეგმილი აქვს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე ს/კ: 56.05.53.023, ს/კ: 56.05.53.022 საერთო ფართობით 465.93 ჰა, სამელიორაციო სისტემის და წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის (რეზერვუარის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 1 პუნქტის 1.3 ქვეპუპუნქტით (სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია) და II დანართის 9 პუნქტის 9.9 ქვეპუპუნქტით (კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ³-ზე მეტია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნული პროექტი სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიმდინარე წლის 12 აგვისტოს N4005 წერილით წარმოდგენილი იქნა სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ში, ხოლო მიმდინარე წლის 16 სექტემბერს, სააგენტოს მიერ გაცემულია სკრინინგის ბრძანება N337/ს, რომლის მიხედვით, შპს „მაღარო კაპიტალის" სამელიორაციო (სარწყავი) სისტემისა და წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის (რეზერვუარი) მოწყობა-ექსპლუატაცია დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე მომზადდა წინამდებარე სკოპინგის ანგარიში. გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1 CD ;

პატივისცემით,

ზაალ ბაკურაძე
დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
10. 10. 2022 წ.
№ 5510